BTU

ბიზნესისა და
ტექნოლოგიების
უნივერსიტეტი

NEWSLETTER

აპრილი - მაისი - ივნისი 2024

BTU-ს ახალმა საბაკალავრო პროგრამა - კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი, აკრედიტაცია გაიარა. პროგრამაზე აბიტურიენტთა რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს და სტუდენტების პირველი ნაკადი მიმდინარე წლის სექტემბერში ჩაირიცხება.

AI MARATHON

BTU AI Marathon-ის საპრიზო ფონდი უკვე 40,000 ლარზე მეტია!

BTU-ს მიერ AI MARATHON-ის ფარგლებში ორგანიზებულ კიდევ ერთ მასშტაბურ სტუდენტურ ჰაკათონში - ხელოვნური ინტელექტი და კიბერუსაფრთხოება საქართველოს 13 უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტი მონაწილეობდა.

სტუდენტურ ჰაკათონში ხელოვნური ინტელექტის და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით 15 000₾ საპრიზო ფონდი სამ გამარჯვებულ გუნდზე განაწილდა.

ჰაკათონის ფარგლებში სტუდენტებმა შექმნეს ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტილებები, რომელიც შემდეგ კიბერუსაფრთხოების სექტორში დანერგეს, შემდეგ კი, იდეები და შექმნილი გადაწყვეტები ჟიურის და ტექნოლოგიური კომპანიების წინაშე წარადგინეს.

COST-ის საერთაშორისო კონფერენცია

პირველად საქართველოში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ორგანიზებით, ევროპის ერთ-ერთი პრესტიჟული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ 30-მდე ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორები, მკვლევარები და პრაქტიკოსები (100-ზე მეტი მონაწილე). აღნიშნული კონფერენცია ყოველ წელს სხვადასხვა პარტნიორ ქვეყანაში იმართება. COST – მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის ასოციაცია 1971 წელს დაარსდა და მას შემდეგ არის კვლევისა და ინოვაციების წამყვანი პლატფორმა ევროპაში. COST-ის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს მეცნიერების განვითარებას და წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა ტექნოლოგიები, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და სხვა.

სტარტაპ პრე-აქსელერაციის პროგრამა

დამწყები და ადრეულ ეტაპზე მყოფი სტარტაპებისთვის ყოველწლიური პრე-აქსელერაციის პროგრამა განხორციელდა. გუნდებმა გაიარეს ინტენსიური გადამზადების კურსი, რის შემდეგაც ჩატარდა დემო დღე, რომელზეც 14-მა სტარტაპმა მიიღო მონაწილეობა. 15 000₾-იანი საპრიზო ფონდი ორ გამარჯვებულ სტარტაპზე გადანაწილდა.BTU-ში მარკეტინგული ინოვაციების ლაბორატორია დაფუძნდაბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და ციფრული სააგენტო Quick-ის პარტნიორობით BTU-ში მარკეტინგული ინოვაციების ლაბორატორია (Martech Lab) დაფუძნდა, რომლის მიზანიც საქართველოს მარკეტინგული ბაზარი ტექნოლოგიურად მოწინავე ინდუსტრიად გარდაქმნაა. ლაბორატორიის ფარგლებში მიმდინარეობს პროექტი, რომელშიც ჩართულია BTU-ს სტუდენტებისა და Quick-ის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული გუნდები.

BTU-ში მარკეტინგული ინოვაციების ლაბორატორია დაფუძნდა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და ციფრული სააგენტო Quick-ის პარტნიორობით BTU-ში მარკეტინგული ინოვაციების ლაბორატორია (Martech Lab) დაფუძნდა, რომლის მიზანიც საქართველოს მარკეტინგული ბაზარი ტექნოლოგიურად მოწინავე ინდუსტრიად გარდაქმნაა. ლაბორატორიის ფარგლებში მიმდინარეობს პროექტი, რომელშიც ჩართულია BTU-ს სტუდენტებისა და Quick-ის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული გუნდები.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) მიერ, ახალგაზრდა გლობალურ ლიდერთა რეიტინგში, საქართველოდან, BTU-ს რექტორი ნინო ენუქიძე დასახელდა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შექმნილი ინოვაციური, AI ტრანსფორმაციული რუკები, BTU-ს MBA პროგრამაში ჩაშენდება.

წამყვან ბრიტანულ ორგანიზაცია - Emerging Europe-თან თანამშრომლობით ივნისში BTU-ში ჩატარდა ერთდთღიანი ფართომასშტაბიანი პანელური დისკუსია - "Georgia's European Integration: Science, Technology and Innovation in Focus", რომელიც საქართველოს ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესებს განიხილავდა უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით. განსაკუთრებული აქცენტი დისკუსიას განათლების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების როლზე ჰქონდა ევროინტეგრაციის პროცესში;

BTU ევროკავშირის ARTIFICIAL INTELLIGENCE SKILLS ALLIANCE-ის ARISA-ს წევრი გახდა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი **ARISA-ს** წევრი გახდა. ARISA - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ Alliances for Innovation პროექტია, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ცოდნისა და უნარების განვითარებას ეძღვნება ევროპის მასშტაბით და ეხმარება დაინტერესებულ ინსტიტუციებს, ტექნოლოგიურ ბიზნესებს და მთავრობებს ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებაში; ასევე, ადამიანზე ორიენტირებული, სანდო და AI-ზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში.
პარტნიორობის ფარგლებში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის უნარების და კომპეტენციების განვითარებას და გაზრდას ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით; ასევე, ხდება ალიანსის განუყოფელი ნაწილი, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს ხელოვნური ინტელექტის განათლების მომავლის ფორმირება და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება ევროპაში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი **Sustainable Lifestyles University Network-ის** ქსელი გახდა, რომელიც გაეროს Environment Program (UNEP) და გერმანულ-ყაზახური უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივაა. დაგეგმილია ერთობლივი ინიციატივების განხორციელება მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით.

BTU ORACLE-ის მიერ დაფუძნებული აკადემიის წევრი გახდა

BTU ტექნოლოგიური გიგანტის Oracle-ის მიერ დაფუძნებული აკადემიის (Oracle Academy) წევრი გახდა. აღნიშნული წევრობა, შესაძლებლობას აძლევს BTU-ს აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებს, ჩაერთონ Oracle-ის პროფესიული განვითარების პროგრამაში, რომელიც 4 წელიწადს გრძელდება.

DIGITAL ECOSYSTEM DIGEST

სტარტაპებისთვის პერსპექტიული სექტორები საქართველოს ციფრული ეკონომიკიდან, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში BTU-მ შექმნა და გამოაქვეყნა კიდევ ერთი ყოველკვარტალური კვლევითი ანგარიში Digital Ecosystem Digest, რომელიც მიმოიხილავს მიმდინარე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ ტენდენციებს საქართველოს ციფრული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამების ფარგლებში **55 მიმდინარე პროექტს კოორდინირებს პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან** თანამშრომლობით.

BTU-ს კვლევითმა ცენტრმა „წლის მეცნიერი“ გამოავლინა

BTU-ს კვლევითმა ცენტრმა სამეცნიერო კვლევებისა და მეცნიერების პოპულარიზაციისთვის პროფესორი ხათუნა ბურკაძე “წლის მეცნიერი”-ს წოდებით დააჯილდოვა. უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული „წლის მეცნიერის ჯილდოს” მიზანია სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაცია, მათი სტიმულირება და უნივერსიტეტის მკვლევართა მიღწევების აღიარება და დაფასება.

BTU-ში სტუდენტებისთვის საზაფხულო დასაქმების ფორუმი გაიმართა

ფორუმზე 90-ზე მეტი სხვადასხვა დასაქმების შესაძლებლობებით 30-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იყო წარმოდგენილი.

BTU-ში სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ამოქმედდა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის მიმდინარეობს ვორქშოფების სერია, რომელიც ხელს უწყობს სოციალური საწარმოების დაარსებას და დაინტერესებულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გახდნენ პროაქტიული ცვლილებების შემქმნელები. ვორქშოფების დასრულების შემდეგ, შერჩეული საწარმოები გაივლიან პრე-აქსელერაციის პროგრამას - ყველაზე პერსპექტიული საწარმოები მიიღებენ შემდგომ მხარდაჭერას, საწყის დაფინანსებას, ხილვადობას, კავშირებს. განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობას.

BTU-ში AI LAB-ის ფარგლებში სტუდენტური ფორუმი გაიმართა

სტუდენტური ფორუმების განხორციელება მიზნად ისახავს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების განვითარებას ცალკეული ინდუსტრიებისთვის, ახალი ინოვაციური პროდუქტების შექმნას, AI-ს შესაძლებლობების ეთიკურად და უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და ქვეყნის ციფრული ეკოსისტემის განვითარებაში წვლილის შეტანას.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Erasmus+ KA220-HED "Design Thinking as a Method of Soft Skills and Digital Skills Development in Higher Education to Increase Employability" პროექტის ფარგლებში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა დიზაინ ინსტიტუტთან პარტნიორობით BTU-ს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებს, ლექტორებსა და ადმინისტრაციას შესაძლებლობა მისცა მონაწილეობა მიეღოთ სრულად დაფინანსებულ ინტენსიურ კურსში: Design Strategy and Thinking;

BTU-ს კოორდინირებით მიმდინარე ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 3E-Partnership-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის ფარგლებში, ჩატარდა რეგიონილი ვებინარების სერია მდგრადობისა და ენერგო ეფექტურობის მიმართულებით წამყვანი ბელგიელი, ესპანელი და იტალიელი ექსპერტების ჩართულობით:

- Energy Efficiency in the Eastern Partnership: Georgia, Azerbaijan andUkraine in Focus
- Decarbonization scenarios in Europe: methods and tools for the energy transition
- Future Energy solutions: case studies in LVDC and LEV
- Power Technologies for the Net-Zero Target
- Energy Efficiency of Buildings: policies, strategies and challenges in renovations
- Energy roadmap in Galicia (NorthWest of Spain)

ევროპის მარკეტინგისა და მენეჯმენტის ასოციაციის (EUMMAS) წევრობის ფარგლებში, BTU-ს მხარდაჭერით, დაიგეგმა და ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქალაქ ბუქარესტში (რუმინეთი).

გადამზადების პროგრამები, ვორქშოფები, საინფორმაციო შეხვედრები, მასტერკლასები და შესაძლებლობები სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და ბენეფიციარებისთვის:

- BTU-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის 21 სტუდენტი აგრძელებს სწავლას ევროკავშირის მიერ სრულად დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამების პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში;

- ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში 2023/2024 სასწავლო წლის მეორე კვარტალში განხორციელდა 15 პერსონალის მობილობა პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში;

- ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამების BTU-ს 4 სტუდენტი განაგრძობს სწავლას პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში ნაწილობრივ დაფინანსებული სემესტრული სტიპენდიით;

- ორი სადიპლომო პროგრამების ფარგლებში BTU-ს 2 სტუდენტი აგრძელებს სწავლას პარტნიორ გერმანულ და პორტუგალიურ უნივერსიტეტში (ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ბრაგანსას პოლიტექნიკური ინსტიტუტი);

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში BTU-ს 11 სტუდენტი აგრძელებს მოკლევადიან სრულად დაფინანსებულ სწავლას ვიგოს (ესპანეთი) IT პროფესიულ სასწავლებელში სრული დაფინანსებით;

- ტრენინგი BTU-ს აკადემიური პერსონალისთვის - „ხელოვნური ინტელექტი - ლექტორის დამხმარე“;

- შეხვედრა ბტუ-ს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტებთან ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო ორგანიზაციების მიერ კვლევების დაფინანსების შესაძლებლობების გაცნობის მიზნით;

- ბიტკოინის საჯარო მასტერკლასი;

- არავერბალური კომუნიკაციის მასტერკლასი;

- DevOps Talk;

- მასტერკლასი: უსაფრთხოება და თანამედროვე ტექნოლოგიები;

- საჯარო ლექცია: როგორ ამოვიცნოთ და ვმართოთ სტრესი;

- ვორქშოფი - პროექტების მართვა;

- მშობლებისთვის - როგორ დავიცვა ბავშვის კიბერჰიგიენა;

- მასტერკლასი: ყალბი ინფორმაციის ამოცნობის ტექნიკები;

- რა? სად? როდის? კონკურსი BTU-ს სტუდენტებისთვის;

ევროპის მარკეტინგისა და მენეჯმენტის ასოციაციის (EUMMAS) წევრობის ფარგლებში, BTU-ს მხარდაჭერით, დაიგეგმა და ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქალაქ ბუქარესტში (რუმინეთი).

მიმდინარე საერთაშორისო პროექტები და აქტივობები BTU-ში

Horizon Europe
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი Horizon Europe-ის პირველი ფართომასშტაბიანი პროექტის ასოცირებული პარტნიორია: **"INPACE - Indo-Pacific-European Hub for Digital Partnerships: Trusted Digital Technologies for Sustainable Well-Being"**

ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - 3E-Partnership
BTU-ს კოორდინირებით მიმდინარეობს მასშტაბური ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების (Erasmus+ CBHE) პროექტი European Energy Efficiency towards Mutually Reinforcing Partnership with Georgia, Azerbaijan and Ukraine - 3E-Partnership

NCURA-ს რეგიონული სამხრეთ კავკასიის და უკრაინის ინიციატივა
NCURA-ს რეგიონული სამხრეთ კავკასიის და უკრაინის ინიციატივა ინიციატივა ამჟამად 30 ინსტიტუციას აერთიანებს სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან და უკრაინიდან.
პროექტი NCURA-ს, აშშ-ის საუნივერსიტეტო კვლევის ადმინისტრატორთა ეროვნულ საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება „უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამის (UCBP)" ფაზა II-ის ფარგლებში.

ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტი - EU-Energy-SSDP
მიმდინარეობს სასწავლო გეგმაში პროექტით გათვალისწინებული 2 სასწავლო კურსის სწავლება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის

კოდინგის სკოლა 1500 ქალისთვის - USAID დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის პროგრამა

Women Mentorship in Tech Programs - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი

Women in AI - გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN women) მხარდაჭერით

Junior Tech-ის პროგრამა UNICEF-თან პარტნიორობით

Junior Tech-ის პროგრამა იუსტიციის სამინისტროსთან პარტნიორობით

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სხვა ინიციატივები BTU-ში:

Hackathon and ICT-based Innovative Methodologies in Higher Education პროექტი

Design Thinking as a method of soft skills and digital skills development in higher education to increase employability - Erasmus+ KA220 – HED

ახალი საგრანტო პროექტები

Empowering Ukrainian Refugee Women: Training for New Careers in Technology - უკრაინელი ქალების გაძლიერების პროგრამა გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და იაპონიის საელჩოსთან თანამშრომლობით;

გერმანიის ფედერალური მთავრობის დაფინანსებით, ცვიკაუს გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ტრანსნაციონალური განათლების - iMERGE პროექტის ფარგლებში BTU-ს კომპიუტერული მეცნიერებებისა და ხელოვნური ინტელექტის ახალი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების სწავლებაში გერმანელი ლექტორები ჩაერთვებიან და სტუდენტები სწავლის მესამე წლიდან ორი სადიპლომო პროგრამით სარგებლობას შეძლებენ; BTU-ში ასევე მოეწყობა ვირტუალური რეალობის ახალი ლაბორატორია.

გერმანიის აკადემიურ გაცვლით სამსახურთან (DAAD) თანამშრომლობით და გერმანიის მთავრობის დაფინანსებით, 2024/2025 სასწავლო წლიდან 2 წლის მანძილზე BTU-ში სხვადასხვა დონის ენას გერმანელი ლექტორი ასწავლის.

BTU მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის

მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის სრული დაფინანსებით ჩატარდა საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელი შეხვედრები, ასევე BTU მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის უფასოდ, საჩუქრად საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელ სასწავლო მასალებს აზიარებს. დაიგეგმა სხვადასხვა მასტერკლასები და ტრენინგები, ღია კარის დღეები, იმიტირებული საერთო სამაგისტრო გამოცდები, შეხვედერები სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებთან, ლექტორებთან და სტუდენტებთან.

BTU აბიტურიენტებისთვის

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში აბიტურიენტებისთვის აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები: ღია კარის დღეები, სესია გაცვლითი პროგრამების შესახებ, ტრენინგები და მასტერკლასები. გარდა ამისა აბიტურიენტებისთვის და მატი მასწავლებლებისთვის გაიმართა მათემათემატიკის ოლიმპიადა რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა სამი გამარჯვებული აბიტურიენტი და მათი მასწავლებლები.

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი